**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# თეგი

თეგი, რკინის საჭრისი, ტარდაგებული ხელსაწყო-იარაღი, რ-საც პირი დაფოლადებული ან ნაწრთობი ჰქონდა. საქართველოში ხელოსნები იყენებდნენ სატვიფრად, საქლეშად, ვარაყის ბუდის ამოსაჭრელად და სხვ. თ-ით ღარავდნენ სატევრისა და ხმლის პირებს. დანიშნულების მიხედვით, თ-ს სხვადასხვა მოყვანილობის პირი ჰქონდა: წვერიანი, ბრტყელი, ბლაგვი, ღარული, ცალფრთიანი, სამნეკნიანი და სხვ. თ. ერქვა აგრეთვე დამღის საბეჭდავებს, ზოგან კი – ფიჩხის მახვილად წაკაფულ ძირებს.

***გ. ჯალაბაძე***